

მიწის პოლიტიკა საქართველოში - არსებული
გამოწვევები და შესაძლებლობები

გოგიტა ღვედაშვილი

*სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის
მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტზე საჯარო მმართველობის
მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად*

საჯარო პოლიტიკის ადმინისტრირება

სამეცნიერო ხელმძღვანელი: მარინე ეგუტია მოწვეული პროფესორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2015 წელი

აბსტრაქტი

საქართველოში ბოლო წლების განმავლობაში სასოფლო-სამეურნეო მიწის ფლობისა და განკარგვის საკითხები ერთ-ერთ აქტუალურ საჯარო პრობლემად ტრანსფორმირდა.

მას შემდეგ, რაც უცხო ქვეყნის მოქალაქეებმა საქართველოში აქტიურად დაიწყეს სასოფლო-სამეურნეო მიწის შეძენა ერთმანეთს გადაეჯაჭვა რთული და წინააღმდეგობრივი, ეკონომიკურ-პოლიტიკური, საკანონმდებლო და კულტურულ-ეთნიკური საკითხები.

წინამდებარე ნაშრომში წარმოდგენილია საქართველოში არსებული მიწის პოლიტიკის კომპლექსური ანალიზი, შეფასებულია მიწის რეფორმების ციკლები, და განხილულია არსებული ტენდენციები. ნაშრომში განსაკუთრებული ყურადღება გამახვილდა, როგორც სასოფლო-სამეურნეო მიწის უცხო ქვეყნის მოქალაქეებზე გასხვისების შედეგად წარმოქმნილ გამოწვევებზე, ასევე იმ შესაძლებლობებზე, რასაც უცხოური კაპიტალის შემოსვლა სთავაზობს ქართულ აგრარულ სექტორს. კვლევაში აღწერილია საქართველოს სხვადასხვა რეგიონში მიწის გასხვისების შედეგად მიღებული რეალობა და შეფასებულია სასოფლო-სამეურნეო მიწის უცხო ქვეყნის მოქალაქეებზე გაყიდვით წარმოქმნილი პოლიტიკურ-ეკონომიკური თუ სოციალური საკითხები.

კვლევის ფარგლებში განხორციელდა, როგორც მიწის საკითხზე არსებული საკანონმდებლო ბაზისა და საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ სასოფლო-სამეურნეო მიწებთან დაკავშირებით 2012-2014 წლებში მიღებული გადაწყვეტილებების ანალიზი, ისე ხელისუფლების მიერ მიწის მართვის საკითხზე მომზადებული საკანონმდებლო ინიციატივების შეფასება.

საქართველოში არსებულ პრაქტიკასთან ერთად, ნაშრომში წარმოდგენილია სასოფლო-სამეურნეო მიწის პოლიტიკის საერთაშორისო გამოცდილების ანალიზი, რაზე დაყრდნობითაც შემუშავდა პრობლემების გადაჭრის გზები და რეკომენდაციები.

მადლობა

მინდა მადლიერება გამოვხატო ჩემი აკადემიური ხელმძღვანელის, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მიერ მოწვეული ლექტორის, ქალბატონ მარინე ეგუტიას მიმართ, რამეთუ მან საკუთარი მოსაზრებებითა და რჩევებით მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა ნაშრომის მომზადებაში.

მადლობას ვუხდის არასამთავრობო ორგანიზაცია „ლიბერალური აკადემია თბილისის“ ხელმძღვანელს, ბატონ ლაშა ტულუშს, ეკონომიკის ექსპერტსა და პროფესორს, ბატონ მიხეილ თოქმაზიშვილს, საქართველოს პარლამენტის აგრარულ საკითხთა კომიტეტის წამყვან სპეციალისტს ბატონ სიმონ უროტაძეს, ასევე ეკონომიკის მინისტრის ყოფილ მოადგილეს ბატონ კახა დამენიას, რომელთა ექსპერტული შეფასებები და მოწოდებული ინფორმაცია ძალზედ დამეხმარა საკვლევ თემაზე მუშაობისას.

მინდა, განსაკუთრებული მადლობა ვუთხრა დამოუკიდებელ მკვლევარს, ქალბატონ სალომე სიჭინავას, რომელმაც კვლევაზე მუშაობისას გამიზიარა პროფესიული ხედვები და არაერთი საგულისხმო რჩევა მომცა.